# შირაქი

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№49 (9.810)

16 – 23 დეკემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

გვ.6







გვ.2

## საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა

## საკრებულოში კიდევ ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა

გვ.3



## კახეთის თასი ფეხბურთში დედოფლისწყარომ მოიგო

გვ.3





გვ.8

## ვინ არის დამნაშავე?




## გაზეთში საჩუქარია!

## გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

*2018 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.*

**გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.**

## მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთი „შირაქი“ არ ღალატობს ტრადიციას და კვლავაც გთავაზობთ ფერად **საახალწლო კალენდარს.** თუ გსურთ, თქვენი ბავშვის ფოტო განთავსდეს 2018 წლის ფერად კალენდარში, გთხოვთ წარმოადგინეთ ის 28 დეკემბრის ჩათვლით რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ კალენდარში ფოტოს განთავსება ფასიანია. 1 ფოტოსურათი 15 ლარი ეღირება. მაგრამ, თუ, ერთ ფოტოში ორი, ან მეტი ბავშვი იქნება - 20 ლარი.

***იჩქარეთ, რაოდენობა შეზღუდულია!!!***

C M Y K

# ირაკლი კობახიძე - საჯარო ინტერესები შეიძლება ფართო ინტერპრეტაციის საგანი გახდეს, რამაც პერსონალურ მონაცემებს საფრთხე შეუქმნას



საჯარო ინტერესები შეიძლება ფართო ინტერპრეტაციის საგანი გახდეს, რამაც ბუნებრივია, საფრთხე შეუქმნას პერსონალურ მონაცემებს, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, კონსტიტუციის ახალ რედაქციაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტის მეორე მოსმენით წარდგენისას განაცხადა.

როგორც ამ კონტექსტში კობახიძემ განმარტა, კონსტიტიუციის ახალი რედაქციის 15-ე მულის მეოთხე პუნქტი კონსტიტუციის 18-ე მუხლში გადადის.

„იყო კონსულატიები და შემოთავაზებულია ცვლილება, რომელიც საჯარო ინტერესებს შეეხება. არის არგუმენტები საჯარო ინტერესების ამოღებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჯარო ინტერესების შესახებ ჩანაწერი, რა თქმა უნდა, მაღლა წევს ხელმისაწვდომობის სტანდარტს, მაგრამ მნიშვნელოვნად დაბლა წევს პერსონალური მონაცემების დაცულობის სტანდარტს. ეს არის პრობლემა. საჯარო ინტერესები შეიძლება ფართო ინტერპრეტაციის საგანი გახდეს და ზოგადად, ფართო ინტერპრეტაციები კონსტიტუციაში არის პრობლემა. საჯარო ინტერესები შეიძლება ფართო ინტერპრეტაციის საგანი გახდეს, რამაც ბუნებრივია, საფრთხე შეუქმნას პერსონალურ მონაცემებს. არის ორი კოლიზიური ინტერესი - ერთი, ეს არის ხელმისაწვდომობის ინტერესი და მეორე, პერსონალური მონაცემების დაცულობის ინტერესი. აქ საუბარია ადამიანისთვის სასიცოცხლო უფლებასთან, როგორიც არის მისი პერსონალური და პირადი ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვა. ბუნებრივია, არ არის რეკომენდებული ასეთი ფართო დისკრეციის და საფრთხის ქვეშ დავაყენოთ პერსონალური მონაცემების დაცულობა. ეს იყო შენიშვნა, რომელიც ჩვენ გავიზიარეთ“, - განაცხადა კობახიძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე.

# ნოდარ ხადური - კონკურენციის სააგენტო სიტროენ ჯორჯიასგან დაზუსტებულ ინფორმაციას ელოდება

კონკურენციის სააგენტო „სიტროენ ჯორჯიასგან" დაზუსტებულ ინფორმაციას ელოდება და შეეცდება, მოკვლევა ერთთვიანი ვადის ამოწურვამდე დაიწყოს. ამის შესახებ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე ნოდარ ხადურმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩვენ მივიღეთ საჩივარი 12 დეკემბერს. 13 დეკემბერსვე ეს საჩივარი გადავუგზავნეთ მხარეებს, რომლებსაც ეხებათ, რათა მათგანაც მივიღოთ ინფორმაცია. ჩვენ გავუგზავნეთ წერილი "სიტროენ ჯორჯიას" და მოვითხოვეთ გარკვეული ინფორმაციის დაზუსტება. ეს სასამართლოს თემას ეხება, ვინაიდან სასამართლოშიც მიმდინარეობს განხილვა და გვაინტერესებს. ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების შესახებ და პროცესი იქნება საჯარო",– განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისი თქმით, მოკვლევა ვერ დაიწყება, სანამ კონკურენციის სააგენტო ყველა ინფორმაციას არ მიიღებს.

„ჩვენ გვაქვს ერთთვიანი ვადა. ჩვენ შევეცდებით, რომ მანამდე მივიღოთ ინფორმაცია მოპასუხე მხარეებისგან და თავად "სიტროენ ჯორჯიასგანაც",- დასძინა ხადურმა.

მისივე თქმით, ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრთან საუბარი არ ჰქონია.

როგორც ცნობილია, გიორგი გაჩეჩილაძე ტენდერებში კომპანიების მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე საუბრობს და აცხადებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილების ტენდერი კომპანია „სიტროინ ჯორჯიამ" უსაფუძვლო მიზეზების გამო წააგო.

მისივე თქმით, საქართველოში ტენდერებში სულ რამდენიმე კომპანია მონაწილეობს, რომელიც კარტელს წარმოადგენს და ამ კომპანიებთან ასოცირდება სპორტისა და ახალგაზრდობის ყოფილი მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი.

„სიტროინ ჯორჯია“ ახალი კომპანიაა. „სიტროინი"ფრანგების მულტინაციონალური კომპანიაა, საფრანგეთის მთავრობაც ფლობს გარკვეულ წილს ისევე როგორც კერძო სტრუქტურა. ყველაზე კარგი და ძალიან დაბალი ფასი დააფიქსირა და ისე მიიღო მონაწილეობა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილებზე გამოცხადებულ ტენდერში. ეს ტენდერი მოიგო", - განაცხადა გაჩეჩილაძემ. მისივე თქმით, "სიტროინის" მოგების შემდეგ, ეს ტენდერი გაუქმდა.

"მინდა, რომ გასაჩივრდეს ახლა კონკურენციის სააგენტოში, რომელსაც ხელმძღვანელობს ნოდარ ხადური და გამოიტანოს ობიექტური დასკვნა", - განაცხადა გაჩეჩილაძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით „სიტროენის“ სარჩელზე სასამართლოში დავა უკვე მიმდინარეობს, რამდენიმე დღის წინ კი კომპანიამ კონკურენციის სააგენტოსაც მიმართა.

# საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა



ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 2016 წელს, წინა წელთან შედარებით 6,8%-ით გაიზარდა და 11573,6 მილიონი კვტ. სთ შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, 2016 წლის განმავლობაში მოპოვებულია 38,6 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (გასულ წელთან შედარებით 4,0%-ით ნაკლები), 296,5 ათასი ტონა ქვანახშირი (გასულ წელთან შედარებით 3,1%-ით ნაკლები) და 6,6 მილიონი მ3 ბუნებრივი გაზი (გასულ წელთან შედარებით 42,1%-ით ნაკლები).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წელს საქართველოში წარმოებულია 2052,2

ათასი მ3 შეშა (წინა წელთან შედარებით 3,4%-ით ნაკლები). ენერგორესურსების მოხმარება გასულ წელთან შედარებით იძლევა შემდეგ სურათს:

ელექტროენერგიის მოხმარებამ 2016 წელს შეადგინა 10486,5 მლნ.კვტ.სთ (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 5,9%-ით). ბუნებრივი გაზის მოხმარებამ შეადგინა 2125,7 მლნ.კუბ.მ (გასულ წელთან შედარებით შემცირდა 6,8%-ით).

ნავთობპროდუქტების მოხმარება გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 12,6%-ით.

რაც შეეხება საქართველოში 2016 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, სტრუქტურაში უდიდესი წილი (63,6%) მოდის ელექტროენერგიის წარმოებაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერგია (24,3%), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდებიან.

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 37,1% მოდის ბუნებრივ გაზზე.

შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (29,9%) და ელექტროენერგია (19.2%). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერგიის 8,1%-ს წარმოადგენს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერგია, ხოლო დარჩენილი 5,7% მოდის ქვანახშირზე.

სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის სექტორი, რომელზეც მოდის მთლიანი მოხმარების 35,5%. 2016 წელს მოხმარებული ენერგორესურსების 29,4% მოდის შინამეურნეობებზე, 17,9% - მრეწველობაზე, 2,6% - მშენებლობაზე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე 0,7%, ხოლო დარჩენილი 13,9% - კერძო და სახელმწიფო მომსახურების სხვა დარგებზე ნაწილდება.

# უჩა ნანუაშვილმა კახეთში მოსახლეობასთან ბოლო შეხვედრა გამართა

***სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე ადამიანის უფლებებზე და კახეთის რეგიონში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებთან დაკავშირებით რამდენიმე მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთა ნშეხვედრა გამართა. ნანუაშვილი ასევე ეწვია სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებს ხორნაბუჯსა და ჭოეთს.***

როგორც ომბუდსმენის აპარატში ამბობენ, რეგიონში საერთო პრობლემას წარმოადგენს საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწების რეგისტრაციის სირთულე, არ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი, უმეტეს სოფლებში არ არის ამბულატორია, წყალი გრაფიკით მიეწოდებათ და ისიც სასმლად უვარგისია. ასევე, მოსახლეობის თქმით, ბევრს სოციალური დახმარება მოეხსნა, რისი მიზეზიც მათთვის გაურკვეველია.

სოფელ ჭოეთში არ არის სკოლა, საბავშვო ბაღი, მაღაზია, მოშლილია საგზაო ინფრასტრუქტურა, არ მიმდინარეობს გაზიფიკაციის პროცესი, ელექტროენერგია მოსახლეობას შეზღუდულად მიეწოდება. სოფელ ხორნაბუჯში მოქმედი რუსულ-ქართული სკოლა კი რუსულ სექტორზე მოსწავლეთა სიმცირეს განიცდის, რის გამოც სკოლა დეფიციტურია, " – ნათქვამია ომბუდსმენის განცხადებაში.

ამას გარდა, მიმდინარე წლის სექტემბერში სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, კახეთის ბოშათა ორგანიზაცია „რომა“-ს ხელმძღვანელ **ვენერა მარტყოფლიშვილთან** ერთად, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, დედოფლისწყაროში, თელავსა და გაჩიანში ადრეულ ასაკში ქორწინების, ოჯახში ძალადობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გამართეს.



ბოშათა თემის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, სიტუაციას ამწვავებს ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებთან დაკავშირებით არაინფორმირებულობა. სტერეოტიპული დამოკიდებულებების სიმყარე ოჯახში ძალადობის მიმართულებით არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს და სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევის მიმართვას მოითხოვს.

გამოწვევას წარმოადგენს რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების მდგომარეობა. თემში არაა მიღებული ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკა, საკმაოდ დაბალია ცნობიერების დონე კონტრაცეპციის მეთოდების შესახებ. აღნიშნული მიმართულებით მთავარ გამოწვევად ინფორმაციის არქონა და ჯანდაცვის არსებულ სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობაა, რაც თავის მხრივ, ორსულობის ექიმთან ვიზიტისა და კონსულტაციის გარეშე წარმართვას და ხშირად სახლში მშობიარობასაც განაპირობებს.

შეხვედრის მიმდინარეობისას მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია ადამიანის უფლებების, ქვეყანაში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისებისა, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის შესახებ.

შეხვედრები ჩატარდა სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ერთობლივი პროექტის "სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები“ ფარგლებში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი აგრძელებს საინფორმაციო შეხვედრების ციკლს ბოშათა თემში.

ილია მარტყოფლიშვილი

# ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილეს

13 დეკემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ა(ა) იპ-ებისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილმა და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებმა** ჩვენი მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროგრამებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 5 515 900 ლარით განისაზღვრა, ხოლო ხარჯვითი ნაწილი- 6 351 500 ლარს შეადგენს.

2018 წელს ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციიისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 60 000 ლარი დაიხარჯება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისთვის 665 000 ლარი , ასევე, სპორტისა და ახალგაზრდული საქმიანობისთვის 2018 წლის ბიუჯეტში 279 000 ლარია გამოყოფილი, დასუფთავების ღონისძიებებისთვის - 670 000ლარი, გარე განათების მოწყობა -რეაბილიტაციის ღონისძიებებისთვის კი 270 000 ლარი. 2018 წელს 300 000 ლარით გაიზრდება სკოლამდელი განათლების დაფინანსება და ის 1 600 000 ლარით განისაზღვრება.

საბიუჯეტო წლის დასაწყისში 2018 წლის 1 იანვრისთვის არსებული ნაშთი გადანაწილდება სხვადასხვა მიმართულებებით.

ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას საკრებულო კენჭს უახლოეს სხდომაზე უყრის.







# საკრებულოში კიდევ ორი ფრაქცია ჩამოყალიბდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში კიდევ ორი ფრაქცია შეიქმნა. ფრაქციას „ქართული ოცნება – მრეწველები“ **მამუკა სეფიაშვილი,** ხოლო „ქართული ოცნება – კონსერვატორები“ **ალექსანდრე პაპაჩაშვილი** უხელმძღვანელებენ. აღნიშნულ ინფორმაციას საკრებულო ცნობად 19 დეკემბრის სხდომაზე მიიღებს.

ამ ეტაპისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოთხი ფრაქცია ფუნქციონირებს - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (თავმჯდომარე დავით ალულიშვილი), ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი), „ქართული ოცნება - მრეწველები“ (თავმჯდომარე მამუკა სეფიაშვილი) და „ქართული ოცნება - კონსერვატორები “ (თავმჯდომარე ალექსანდრე პაპაჩაშვილი).



# კახეთის თასი ფეხბურთში დედოფლისწყარომ მოიგო

***კახეთის ჩემპიონატში ფეხბურთში დედოფლისწყაროს გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. კახეთის თასი გუნდის კაპიტანს კახეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა როსტომაშვილმა გადასცა. კახეთის ჩემპიონატი 2004–05 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის გაიმართა და მასში 16 გუნდი მონაწილეობდა. ფინალს წინ უძღვოდა რამდენიმე რაიონში გამართული თამაშების ციკლი.***

„რეგიონულ ჩემპიონატში მონაწილე 16 გუნდი განაწილდა 2 ჯგუფად. დედოფლისწყაროს გუნდმა „შირაქი“ დაიკავა პირველი ადგილი. გიორგი ბურდულის სახელობის ტურნირი იყო და სწორედ ვეტერანი ფეხბურთელის გიორგი ბურდულის სახელობის თასი გადაეცა დედოფლისწყაროს გუნდს. პირველი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდა თითოეული დედოფლისწყაროელი ფეხბურთელი. დაჯილდოვებას ბურდულის ვაჟი, დავით ბურდულიც ესწრებოდა. მე ვფიქრობ, ეს უდიდესი წარმატებაა. მათი კარიერა კახეთიდან იწყება და თუ იმუშავებენ, უფრო წინ წავლენ და გაცილებით მეტი წარმატება ექნებათ. კახეთის ფედერაციის სახელით რა თქმა უნდა ჩვენ წარმატებებს და დიდ ასპარეზს ვუსურვებთ მათ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია, პირველი შედეგები აქვთ და ეს უნდა გახდეს დიდი წარმატებების დასაბამი. ფეხბურთისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ახდენენ და ასეთი რეგიონული ტურნირები ხელს უწყობს, ბევრისთვის სტიმულისა და მაგალითის მიმცემი ხდება. ამიტომ, გაცილებით ხშირად უნდა ტარდებოდეს ასეთი ჩემპიონატები, რომ შედეგი გაუმჯობესდეს,“ – აღნიშნავს **გოჩა როსტომაშვილი.**



ზურაბ ჩალაბაშვილი **(დედოფლისწყაროს გუნდის მწვრთნელი):** „ასეთი მიღწევები ხელს უწყობს ჩამოყალიბდნენ ნამდვილ ფეხბურთელებად და ამ ასაკიდანვე იგრძნონ გამარჯვების გემო, აითვისონ ფეხბურთელის უნარჩვევები. ეს გამარჯვება მათ სტიმულს მისცემს საიმისოდ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი მონდომებით იასპარეზონ. რეგიონული ჩემპიონატის მოგება ერთი საფეხურია, რომ შემდეგში გუნდი სხვა საფეხურზე გადავიდეს და სხვა მასშტაბებზე ითამაშოს. ნელნელა ბავშვები იზრდებიან, ტაქტიკას ხვეწენ, გამოცდილებას აგროვებენ, ამიტომ, თუ ხელშეწყობა გვექნება, შეგვიძლია, უფრო წინ წავიწიოთ. ამჟამად გვაქვს ხელშეწყობა, თუმცა პრობლემებიც არსებობს. გამოგვეყო ტრანსპორტი, კვება. ვახერხებთ სხვა ქალაქებში გამართულ ტურნირებში მონაწილეობასაც და ამ კუთხით შეფერხებები აღარ გვაქვს. ამჟამად პრობლემად რჩება ფორმების საკითხი და გვპირდებიან, რომ ესეც მალე გადაიჭრება. ამჟამად ძველი ფორმებით ვთამაშობთ. დაახლოებით 20 წელია, აღარ შეგვიძენია და ძველი ფორმის ჩაცმა უხდებათ. ჩვენც თავდადება არ გვაკლია, ხშირად ვვარჯიშობთ, რომ შედეგი ვაჩვენოთ. შრომა უმთავრესია ყველაფერში. მეორე წრეზე ექვსი გუნდი დავამარცხეთ და ერთთან ფრე ვითამაშეთ“.



მალხაზ ჯაგაშვილი **(გუნდის კაპიტანი):** „დიდი ხანია, რეგიონული თასის მოსაგებად ვიბრძვით, მაგრამ აქამდე ვერ ვახერხებდით. ბოლო ხანს გუნდის წევრები დავსხედით და სერიოზულად დავიწყეთ იმ ნაკლოვანებების გააზრება, რაც ხელს გვიშლიდა გამარჯვებაში. ღიად ვისაუბრეთ, რისი გამოსწორება იყო საჭირო, თითოეულ ჩვენგანს რა უნდა გაეკეთებინა და რა ტაქტიკა აგვერჩია. მოვუმატეთ ვარჯიშს, დავიწყეთ ნაკლის გამოსწორება. თავს მართლა არ ვზოგავდით, სულ უფრო და უფრო მეტს ვშრომობდით და ვვარჯიშობდით. სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ წელს ოცნება აგვიხდა და მიზანს მივაღწიეთ. ძალიან დიდი სიხარულია ჩვენთვის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ პრეტენზია გაგვიჩნდა სხვა ტურნირებზეც ვიფიქროთ და ამჯერად დედაქალაქშიც მივიღოთ მონაწილეობა. ხელშეწყობა ნამდვილად გვაქვს, ერთადერთი გუნდს ფორმების პრობლემა აქვს. პირველი საჯარო სკოლის სტადიონზე ვვარჯიშობთ, მაგრამ ხელისშემშლელია ის, რომ ცუდ ამინდებში ვარჯიშს ვერ ვახერხებთ და გუნდის ყველა წევრს უნდა, რაიმე დარბაზი გამოინახოს, რომ უამინდობაშიც შევძლოთ მომზადება. შეიძლება ითქვას, დარბაზი ჩვენი ოცნებაა“.

ილია მარტყოფლიშვილი

# „სპექტრი ჩემი სიამაყეა“

## ინტერვიუ მრავალმხრივ წარმატებულ ქალბატონთან „სპექტრის“ დირექტორ ნუნუ ცაკაშვილ-იმერლიშვილთან



დედოფლისწყაროში არსებულ სასწავლო ცენტრ „სპექტრს” დაარსებიდან 7 წელი შეუსრულდა. 2010 წლის 1 დეკემბერს ქალბატონმა ნუნუ ცაკაშვილმა დააფუძნა შპს სასწავლო ცენტრი „სპექტრი“ ,რომელიც გამოირჩევა თანამედროვე აღჭურვილობით და საუკეთესო სასწავლო გარემოთი. 7 წელია ქალბატონი ნუნუ ცაკაშვილი „სპექტრის“ დირექტორია. დაბადების დღე „სპექტრმა” თავის მოსწავლეებთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღნიშნა.

სასწავლო ცენტრმა დედოფლისწყაროს ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი შეასრულა, მან დააფრთიანა და სწორი მიმართულება მისცა სწავლისთვის მოწყურებულ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდობას.

ქალბატონი ნუნუ ცაკაშვილი თავისი საქმით, თავდაუზოგავი მუშაობით, მიზანსწრაფულობით და ინდივიდუალური მიდგომით, თითოეული მოსწავლის მიმართ დედობრივი მზრუნველობით გამოირჩევა. სპექტრელები პირველ-მეორე განაცხადით და სათანადო დაფინანსებით წარმატებით ირიცხებიან საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში: თავისუფალ, კავკასიის, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და სხვა. სტუდენტობისას სპექტრელები გამოირჩევიან სანიმუშო სწავლით და მიღწევებით.

„სპექტრს“ განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს კავკასიის უნივერსიტეტთან, სადაც სამ ათეულზე მეტი წარმატებული დედოფლისწყაროელი ახალგაზრდა სწავლობს. უპრეცენდენტოა ის ფაქტი, რომ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ბატონი კახა შენგელია თავად ესტუმრა „სპექტრს“ და აბიტურიენტთა განსაკუთრებული კონტინგენტისთვის მადლობის სიგელი გადასცა ქალბატონ ნუნუს - „თქვენ საქართველოს ემსახურებით!“ - ასე შეაფასა ამ შეხვედრისას მან „სპექტრის“ დირექტორის მუშაობა და სპექტრელები კავკასიის უნივერსიტეტში მიიწვია სტუმრად.

გთავაზობთ ინტერვიუს სასწავლო ცენტრის „სპექტრის“ დირექტორთან ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილთან, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღის დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ნიჭის სწორად ფორმირების და მათი სამომავლო გზის დადებითად წარმართვის საქმეში.

**-ქალბატონო ნუნუ, ოთხი ათეულ წელია მოსწავლე- ახალგაზრდობასთან მუშაობთ, საინტერესოა, თქვენ როგორი ბავშვი იყავით?**

-ვარ მრავალშვილიანი ოჯახიდან, მყავს და, ძმა და ტყუპისცალი. მე და მეგი



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

სიგელი

სასწავლო ცენტრ „სპექტრის“ დირექტორს
ნუნუ ცაკაშვილს
კავკასიის უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მადლობას უცხადებს
აბიტურიენტთა სანიმუშო კონტინგენტისთვის

2017 წელი

კახა შენგელია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი

ბავშვობაში ძალიან ვგავდით ერთმანეთს. ეს უკვე დასტურია იმის, რომ საინტერესო ბავშვობა, სასკოლო და სტუდენტური ცხოვრება გვქონდა. წიგნად დაიწერება იმდენი კურიოზი გადაგვხდენია თავს. მასწავლებლები ხშირად ვერ გვარჩევდნენ, გვარით მოგვმართავდნენ, მიღებულ ხუთიანებს კი, ხან ერთის გრაფაში წერდნენ, ხან მეორის.

**-დღეს თქვენი საქმიანობა მოსწავლე ახალგაზრდობის თვალსაწიერის გაფართოებას, ცოდნის გაღრმავებას, ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და პროფესიის სწორად არჩევასთან ასოცირდება. ხართ წარმატებული პიროვნება, ცოდნის, სინათლის და სიკეთის გამცემი ქალბატონი. გვიამბეთ, როგორი მოსწავლე და სტუდენტი იყავით თავად თქვენ?**

-წარჩინებული ვიყავი სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც. მიღებული მაქვს უამრავი სიგელი და დიპლომი. ყველაზე მეტად მაინც სკოლიდან მხარეთმცოდნეობის რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებისთვის მიღებული ჯილდო -12 დღიანი მოგზაურობა უკრაინაში და უნივერსიტეტიდან ფრიადზე სწავლისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისთვის უნგრეთის ერთთვიანი საგზურით დაჯილდოვება გამიხარდა. მოგზაურობა ჩემი ჰობია, ევროპის 10 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თუმცა, როდესაც საგზურს ჯილდოდ იღებ, სულ სხვა განცდაა.

ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორ ფაკულტეტზე ერთდროულად, პარალელურად ვმუშაობდი თსუ მაღალი ენერგიების ბირთული ფიზიკის ინსტიტუტში. დილით ფიზიკის ლექციები, შუადღით სამსახური, საღამოს - ლექციები ხელოვნებაზე. ასეთი იყო ჩემი განრიგი. მქონდა ფრიადოსნის სტიპენდია და ხელფასი ერთად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამტოვეს ფიზიკის ფაკულტეტზე მყარი სხეულების ფიზიკის კათედრაზე.

**-დედოფლისწყაროში რა დროიდან მუშაობთ?**

-სამ ათეულზე მეტია ვცხოვრობ და ვმუშაობ დედოფლისწყაროში. სხვადასხვა დროს ვიყავი კომკავშირის რაიკომის მდივანი, ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მოადგილე, დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

**-ვისაუბროთ თქვენს ოჯახზე და შვილებზე. იშვიათია ქალი, ერთდროულად იყოს წარმატებული ოჯახსა და სამსახურში. თქვენ ეს შეძელით. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ გყავთ წარმატებული შვილები და მეუღლე.**

-მეუღლე ელიზბარ იმერლიშვილი, პროფესიით მშენებელ-ინჟინერი გახლავთ, იგი არის საქართველოს მელიორაციის დედოფლისწყაროს უბნის უფროსი, პარალელურად ეწევა ფერმერულ საქმიანობას.

შვილები - ირაკლი და ილია იმერლიშვილები. ირაკლიმ დაამთავრა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. სწავლა განაგრძო ლონდონში მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების განხრით. პარალელურად მუშაობდა. იქვე დაოჯახდა. ჰყავს მეუღლე დოჩი კუხალაშვილი და შვილი - 5 წლის ლიზი. ოთხწლიანი ლონდონური ცხოვრების შემდეგ ირაკლი საქართველოშია და ტურისტულ ბიზნესითაა დაკავებული.



მეორე ვაჟმა, ილიამ კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტი დაამთავრა, არის ფინანსისტი და კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი. ილია ორი წელი ამერიკის შეერთებული შტატებში მიწვევით მუშაობდა საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიაში აუდიტორად. ამჟამად საერთაშორისო აუდიტორულ კომპანია KPMG-ის ლონდონის ოფისში მუშაობს მენეჯერად.

**-ვიცით, რომ „სპექტრი“ თქვენი სიამაყეა თავისი პედაგოგებით, მოსწავლეებით, არსებობის ხანმოკლე, მაგრამ ტევადი ისტორიით, მიღწეული წარმატებებით. რას გვეტყვით, ჩანაფიქრმა გაამართლა?**

-რასაკვირველია. მიხარია, რომ დედოფლისწყაროელი ახალგაზრდები ღირსეულად აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტობისას სწავლობენ კარგად და საქმდებიან თავიანთი პროფესიით. განსაკუთრებულად მინდა იმის აღნიშვნა, რომ „სპექტრელები” აგრძელებენ მეგობრობას თბილისში და დღემდე ურთიერთობენ ჩვენთან.

**-მკითხველს გავაცნოთ „სპექტრის” წარმატებული მოსწავლეები.**

-საბედნიეროდ ასეთი ბევრია: გიორგი ყოჩიაშვილი, პაატა კიკილაშვილი, თამარ შეითნიშვილი, თამარ სეხნიაშვილი, მერი ქადაგიძე, ანი ბილიაშვილი, მარიამ ბოსტოღანაშვილი, ძმები დავით და ზურა ყაზარაშვილები, სოფო და ქეთი ხუციშვილები, გიორგი ვარდიშვილი, თიკო ბაკაშვილი, სოფო და ირაკლი მენთეშაშვილები, ნიკა ნატროშვილი, ნიკა და მარიამ ძმანაშვილები, კარლი ყოჩიაშვილი, ქეთი ჩაფიაშვილი, ქეთი შანშაშვილი, ნატალი მაძღარაშვილი, იზაბელა გაბრიელაშვილი, გვანცა მახარაშვილი, თამუნა მოდებაძე, გიგა ჯანყარაშვილი, პაპუნა და ლაშა პაპუაშვილები, თინიკო ცისკარაული, დები - ლიკა და მარიამ ლოლაშვილები, ნანა სულაშვილი, ლიკა და ზურა ტოკლიკიშვილები, მარიამ ლაპიაშვილი, ანა და თიკა ბულაშვილები და უამრავი სხვა.

**- რამდენი წარმატებული სპექტრელი გყოლია.**

-თითოეული მათგანი ერთმანეთზე წარმატებული და საამაყო ახალგაზრდაა: კარლი ყოჩიაშვილი და ქეთი ჩაფიაშვილი პრეზიდენტის სტიპენდიანტები არიან, თამარ შეითნიშვილის პროექტმა სტარტაპის კონკურსში 100 000 ლარიანი გრანტი მიიღო, დავით ყაზარაშვილი 23 წლის უკვე იყო ყველაზე ახალგაზრდა პროკურორი საქართველოში, ამჟამად იგი ყველაზე ახალგაზრდა საოლქო პროკურორია.

**-საოცარია, როგორ ასწრებთ ყოველივე ამდენს. აღფრთოვანებული ვარ თქვენი ეზო კარ-მიდამოთი და განსაკუთრებული ყვავილნარით. ყვავილების მოვლის გარდა რა არის**



# „სპექტრი“ და სპექტრელები

**თქვენი რელაქსის საუკეთესო საშუალება?**

-უზომოდ მიყვარს მოგზაურობა, ქართული პოეზია. დიდ სიბრძნეს ვხედავ ქართულ ანდაზებში, რომელსაც ხშირად ვიშველიებ ხოლმე საუბრისას.

**-რომელ ქართულ ნაწარმოებებს გამოყოფდით?**

- მიყვარს ოთარ ჭილაძის შემოქმედება, განსაკუთრებით მისი



პოეტური პროზის შედევრი: „ადამიანი გაზეთის სვეტში“, რომლის თითოეული სიტყვა ღრმაშინაარსიანი და საპროგრამოა. „ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების ავანჩავანი ფიქრში ირკვევა“ და კიდევ -„ ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია, მაგრამ საბრალოს, ვერ უპოვია აქამდე თავი და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობასა და სიძულვილში....“ და ყველაზე უმთავრესი: „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს“.

**-რა არის თქვენთვის უმნიშვნელოვანესი?**

-საკუთარი თავის რწმენა, -„მე ამას შევძლებ!“ ჩემთვის ღირებულია ფრაზა - „ძალა ერთობაშია!“

**-ამ შვიდი წლის მანძილზე რომელ დღეებს გამოარჩევდით ყველაზე მეტად?**

-დღეები, როდესაც ცხადდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. თითო დედას თითოეული შვილის წარმატებით ჩარიცხვა უხარია, მე - ყველა ერთად. ამ დროს ყველაზე ამაყი ვარ.



**-კიდევ მრავალი მიღწევით და სასახელო თაობის აღზრდით ეამაყოს „სპექტრს“. წარმატებები და უამრავი ლამაზი დღე თქვენ და თქვენს მოსწავლეებს.**

* * *

„სპექტრს“ და ნუნუ მასწავლებელს იუბილეს ულოცავენ თავად სასწავლო ცენტრის აღზრდილები.

თამარ შეითნიშვილი, **აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის კურსდამთავრებული:** „სპექტრი“ ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. მეგობრულ გარემოსთან იმდენად სწორადაა სწავლა შერწყმული, რომ განათლების მიღება ძალიან სასიამოვნო პროცესი ხდება. ვფიქრობ, რომ ჩემს პიროვნულ ზრდა-განვითარებაში „სპექტრმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ქალბატონი ნუნუ ყოველთვის სამაგალითო ადამიანი იყო ჩემთვის და დიდ სტიმულს მაძლევდა. ნამდვილად დასაფასებელია მისი შრომა, მან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი შექმნა, სადაც თავს იყრის ჩვენი რაიონის მთავარი ძალა და იმედი, - მომავალი თაობა.

ქეთი შანშიაშვილი, **კავკასიის უნივერსიტეტის ევროპათმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი:** „იშვიათად მაქვს ხოლმე მომენტები, როცა დროს ვითხოვ, სანამ პასუხს გავცემ კითხვებზე. ესეც, ჩემი აზრით, იმაზე მიუთითებს, თუ როგორი სათუთი დამოკიდებულება მაქვს ზოგადად „სპექტრთან“ და რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის. ბევრი რამის თქმა მინდა, თუმცა ვეცდები ლაკონური ვიყო. „სპექტრი“ ჩემი გარემო იყო. ჩემი და ჩემი თაობის მოთხოვნილებებს რომ აკმაყოფილებს, ზუსტად ისეთი გარემო. დღეს სკოლის მეთოდიკა იმდენად არაპრაქტიკული და არაპროდუქტიულია ჩვენი თაობის ბავშვებისთვის, რომ მსგავსი ადგილები შვებაა ხოლმე მოსწავლეებისთვის. ერთია სწავლების მეთოდიკა და მეორეა ის დომოკიდებულებები, რომლებიც ბავშვებსა და ნუნუ მასწავლებელს შორის არსებობს. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, რომ ნუნუ მასწავლებელი მომავლიდან გაჩნდა ჩვენს სამყაროში, იმდენად ზუსტად ერგება ახალი თაობის მოთხოვნილებებს და ზოგადად ბავშვებს. „სპექტრში“ ვისწავლე ბევრი ისეთი რამ, რაც დღემდე იჩენს ხოლმე თავს ჩემს ცხოვრებაში, ეს იყო მეგობრულ და ხალისიან გარემოში მიღებული ზღვა ინფორმაცია და ცოდნა, რომელიც დამეხმარა თუნდაც იმაში, რომ გავმხდარიყავი წარმატებული სტუდენტი. ის, რომ დღეს ვარ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი, სწორედ ნუნუ მასწავლებლის დამსახურებაა, მან მირჩია ამ უნივერსიტეტში ჩაბარება და ახლა რომ ვფიქრობ, ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სხვა გარემოში. ჩემთან ერთად, უნივერსიტეტში კიდევ ბევრ დედოფლისწყაროელ ბავშვს ვხედავ, რომლებიც ასევე „სპექტრელები“ არიან და ყველა მათგანი წარმატებული სტუდენტია. ვფიქრობ, ეს დიდწილად „სპექტრის“ და ნუნუ მასწავლებლის დამსახურებაა. მინდა ვისარგებლო და მივულოცო ნუნუ მასწავლებელს „სპექტრის“ დაბადების დღე. ვუსურვო მომავალი წარმატება და კიდევ ბევრი მოსწავლისა და ახალგაზრდის განათლებაში წვლილის შეტანა.

ლიკა ლოლაშვილი, **თსუ-ს კავკასიოლოგიის მესამე კურსის წარმატებული სტუდენტი:** „ვულოცავ პირველ რიგში“ სპექტრს” და ქალბატონ ნუნუს 7 წლის იუბილეს. ეს ადგილი არის, როგორც მნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულება, სადაც მოზარდები კვალიფიციურ განათლებას იღებენ, ასევე ადგილი, სადაც მეგობრებს იძენენ. სპექტრში შექმნილია ძალიან კარგი, მყუდრო, ოჯახური გარემო. მისვლა ყოველთვის გიხარია. იქ სწავლაც სახალისოა და მეგობრებთან ინფორმაციის გაცვლაც გეხმარება ცოდნის გაფართოვებაში. ქ-ნი ნუნუ თავის აღსაზრდელებს უყურებს, როგორც უმცროს მეგობრებს და ზრუნავს მათზე. მე მადლობას ვუხდი “სპექტრს” და ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილს. რომ არა ის, დღეს მე არ ვიქნებოდი კავკასიოლოგი. ქალბატონი ნუნუს რჩევით ავირჩიე ეს პროფესია და დღეს ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი სხვაგან. ამ ღვაწლს, ვერასდროს ვერ დავუვიწყებ. კიდევ ერთხელ ვულოცავ “სპექტრს” და წარმატებებს ვუსურვებ.



თინიკო ელაშვილი, **მშობელი:** „ ჩემი შვილები მერი და გიორგი, ორივე ქალბატონ ნუნუსთან დადიოდნენ, „სპექტრში“, ორივე ჩაირიცხა მაღალი ქულებით, მერიკო სტუდენტობის პერიოდშიც ურთიერთობდა ნუნუ მასწავლებელთან ძალიან აქტიურად. სპექტრელების მშობლების სახელით, კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას კეთილშობილ ქალბატონს ჩვენს შვილებზე გაწეული ღვაწლისთვის.

ქეთი ჩაფიაშვილი, **პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სტუდენტი:** “სპექტრი” და ნუნუ მასწავლებელი აბიტურიენტობის პერიოდის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებად დამრჩა. ეს არის ადგილი, რომელიც უამრავ უნიჭიერეს და შრომისმოყვარე ახალგაზრდას აერთიანებს. ადგილი, სადაც მუდამ გელიან, დროის რომელი მონაკვეთიც უნდა იყოს. სპექტრი თანამედროვე სტანდარტებსა და მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ სასწავლო გარემოს გვთავაზობს, გვაძლევს თავისუფლებას, საკუთარი თავის აღმოჩენისა და განვითარების შესაძლებლობას. ნუნუ მასწავლებელი ისეთი ადამიანია, რომელსაც იშვიათად თუ შეხვდებით, მუდამ პოზიტიური, მუდამ მოწოდების სიმაღლეზე მდგარი. იგი არა მხოლოდ მასწავლებელი, არამედ ჩვენი აღმზრდელი და მეგობარია. გამოირჩევა მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომით. ყოველთვის გვამხნევებდა და თავდაჯერებულობას გვმატებდა მისი სიტყვები. რამდენჯერ უზომოდ დაღლილი და იმედგაწურული მივსულვარ სპექტრში ნუნუ მასწავლებლისთვის გულის გადასაშლელად, იქიდან კი, ყოველთვის საოცარი ენერგიით დამუხტული გამოვდიოდი, მჯეროდა, რომ ყველაფერი გამომივიდოდა თუკი მოვინდომებდი და სათანადოდ ვიშრომებდი. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გადავუხდი „სპექტრს“ და ნუნუ მასწავლებელს არსებობისთვის და მრავალი კეთილი საქმისთვის.

ნინო მახარაშვილი, **აბიტურიენტი:** პირველ რიგში, ნუნუ მასწავლებელს და „სპექტრის“ თითოეულ ბავშვს ვულოცავ ცენტრის დაბადების დღეს. ორი სიტყვით ძნელია ყველაფრის თქმა, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მეექვსე წელია, რაც სპექტრის მოსწავლე ვარ და ყოველწლიურად ვხედავ, თუ რა დიდ შრომას ეწევა ნუნუ მასწავლებელი, რომ მისმა ბავშვებმა საუკეთესო ქულები აიღონ და, რა თქმა უნდა, შედეგები ამართლებს მოლოდინს. „სპექტრი“, რომ საუკეთესო ადგილია, სადაც საუკეთესო მასწავლებლები მუშაობენ, ეს ცხადია. ამასთან, ეს არის ადგილი, სადაც ჩვენ ვსწავლობთ მეგობრობას, ურთიერთგაგებას... არაერთ საგანმანათლებლო ექსკურსიაზე ვყოფილვართ სხვადასხვა უნივერსიტეტში, მოსმენილი გვაქვს უმნიშვნელოვანესი ლექციები, ჩატარებული გვაქვს ვიქტორინები, ვმასპინძლობდით კავკასიურ სახლს, კავკასიის უნივერსიტეტს და მის პრეზიდენტს კახა შენგელიას. ნუნუ მასწავლებელზე მხოლოდ კარგი თუ მეთქმის. ეს ის პიროვნებაა, რომელიც ეხმარება აბიტურიებტებს თავისი სურვილებისა და შესაძლებლობების მიხედვით აირჩიონ სამომავლო პროფესია. იგი უაღრესად თავდადებული, განათლებული და შრომისმოყავრე პიროვნებაა. მე ბედნიერი ვარ, რომ ნუნუ მასწავლებელს ვიცნობ და ვამაყობ, რომ ვარ სპექტრის მოსწავლე. ჩემმა დამ გვანცამ „სპექტრში“ სწავლის შედეგად მიიღო 100 პროცენტიანი გრანტი და ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე. მჯერა, თუკი „სპექტრის“ მაჯისცემას სწორად მივყვები, მეც წარმატებას მივაღწევ.“

მარიამ უთრუთაშვილი **აბიტურიენტი:** ორი თვეა, რაც სპექტრში დავდივარ და დღითიდღე



უამრავი დადებითი ემოციით ვივსები. ცხოვრებაში რასაც ვნანობ, თავს იმ ფრაზით ვიმშვიდებ, რომ გამოცდილება მივიღე, ან რაღაც ვისწავლე. „სპექტრი“ კი ერთადერთი რამაა, რაზეც ვერ ვიტყვი, რომ იმ დაკარგულმა წლებმა, რაც აქ არ მივლია, რამე მასწავლა. სამწუხაროდ, გვიან ვიგებ რეალურად რამხელა როლს თამაშობს „სპექტრი“ მოზარდის ცხოვრებაში და მე ვნანობ იმ დაკარგულ წლებს.

ეს ის ადგილია, სადაც უამრავი მასალაა იმისთვის, რომ გაიფართოვო ცოდნა ნებისმიერ საკითხში.

ეს ის ადგილია, სადაც დროში შეზღუდული არ ხარ. ეს ის ადგილია, სადაც ყველა ცოდნისკენაა ორიენტირებული და რაც მთავარია, ეს ის ადგილია, სადაც სულ სიყვარულია!

სპექტრელების სახელით ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ნუნუ ცაკაშვილს! ის არაა მხოლოდ მასწავლებელი, ის არის ჩვენი „ნუნუ დე.“

ნელი ხარაზიშვილი, **„სპექტრის“ გერმანული ენის მასწავლებელი:** ჩვენ შვიდი წლისანი გავხდით. ეს არ არის ბევრი, მაგრამ არც ცოტაა იმიტომ, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა, ანუ, როგორც ჩვენ მათ ვუწოდებ, სპექტრელებმა უკვე საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ბევრმა მათგანმა წარჩინებით დაამთავრა სხვადასხვა უნივერსიტეტები და გავიდა ცხოვრების სარბიელზე, ბევრიც ჯერაც სწავლობს აქ ჩვენთან, თუ უცხოეთში-ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში და ჩვენ სწორედ ამით ვართ ამაყები, რომ მათ წარმატებებში „სპექტრს“ მიუძღვის დიდი წვლილი.

ჩვენს მოსწავლეებს დიდად ეხმარება „სპექტრის“ საგნობრივი ბიბლიოთეკა, რომელიც ძალიან მდიდარია უკვე, მიუხედავად მისი მცირე ასაკისა. რა უნიკალურ გამოცემას არ ნახავს აქ დაინტერესებული მოსწავლე მეცნიერების ნებისმიერ სფეროში.

რა არის „სპექტრი“ პირადად ჩემთვის? - ეს არის პატარა თბილი (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) სახლი, სადაც თავს ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში - არა უფრო უკეთ. სახლში მარტოს ძალიან მიჭირს, აქ კი, არ ვარ მარტო და თანაც ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს, რასაც აგერ უკვე 45 წელია ერთგულად ვემსახურები. ადამიანს თვითრეალიზაციის პრობლემა არ გქონდეს - ბედნიერებაა, აბა რა? სწორედ ამიტომ დიდი მადლობა ქალბატონ ნუნუ ცაკაშვილს ყველაფერ ამისთვის.

მინდა მივულოცო ჩვენს „სპექტრს“ და ყველა სპექტრელს არსებობის 7 წლისთავი და დიდი წარმატებები ვუსურვო შემდგომ საქმიანობაში. ბედნიერი ვარ, რომ დაარსების დღიდან ვარ აქ და ჩემი მოკრძალებული წვლილი მიმიძღვის იმ კეთილშობილურ საქმეში, რასაც ახალგაზრდების აღზრდა და განათლება ჰქვია.

**- წარმატებას ვუსურვებთ „სპექტრს“ და სპექტრელებს.**

ლალი მეხრიშვილი

# „ვარსკვლავიანსა ღამეს“...



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში პირველ დეკემბერს სრული ანშლაგით მსოფლიოში აღიარებული ბარიტონის, ჩვენი თანამემამულის, ლადო ათანელის სოლო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა დიდი მაესტროს ნოდარ ანდღულაძის დაბადებიდან 90 წლისთავს და კონსერვატორიის დაარსების 100 წლისთავს.

ლადომ მსმენელს, რომლის უმრავლესობა მისი კოლეგები და მისი ნიჭის დამფასებლები გახლდნენ, შესთავაზა მასკანის, ჰენდელის, გლუკოს, ბრამსის, შუმანის, რახმანინოვის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები და დიმიტრი არაყიშვილის რომანსები.

თითოეული არიის დასრულების შემდეგ ხანგრძლივი ოვაციებით აჯილდოვებდნენ დიდ მომღერალს. კონცერტმაისტერი გახლდათ მარინა მეტრეველი.

მაყურებლისათვის სიურპრიზი იყო ვიდეოკოლაჟი, რომელიც ასახავდა დიდი მაესტროს ნოდარ ანდღულაძის და ლადოს სტუდენტობის წლების სანიმუშო ურთიერთობას, ასევე, მსოფლიოს პრესტიჟულ საოპერო სცენაზე მის მიერ შესრულებულ საოპერო არიებს.

კონცერტის დასრულების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ ცნობილ ადამიანებს: ელეონორა ბაბუნაშვილი, **ექიმი** -ლადოს მიერ შესრულებულმა თითოეულმა არიამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. უზომოდ კმაყოფილი ვბრუნდები სახლში და ეს სიამოვნება დიდხანს გამყვება.

დოდო დიასამიძე – **კონსერვატორიის პედაგოგი:** ლადომ დღეს თავისი სოლო კონცერტით საჩუქარი მიუძღვნა უდიდეს მაესტროს ნოდარ ანდღულაძეს, ვის ხელშიც გაიზარდა და ჩამოყალიბდა. ფუნდამენტი, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მაესტრომ, გაიზარდა, გაიფურჩქნა და დღეს ასეთი შესანიშნავი მომღერალი გვყავს მსოფლიოს მასშტაბით.

მარინა მაჭავარიანი - ანჯაფარიძე, **ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის პრეზიდენტი-** კიდევ ერთხელ ქართველმა მსმენელმა უდიდესი სიყვარული და აღფრთოვანება მიიღო მსოფლიოში ცნობილი ბარიტონის, ლადო ათანელის სოლო აკადემიური კონცერტით, მინდა გითხრათ, რომ ლადო არის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, ეს ჯილდო მიღებული აქვს ძალიან ცოტა ადამიანს, მათ შორისაა „საუკუნის ლეგენდის“, ტიტულის მფლობელი, ლადოს მეუღლის, მანანა ჩიქოვანის ნათლია, დიდი საოპერო მომღერალი მედეა ამირანაშვილის.

ინესა მერაბიშვილი - საქართველოში, ისევე როგორც მის საზღვრებს გარეთ, ლადო ათანელთან შეხვედრა საზოგადოებისათვის ზეიმია, ხელოვნების კიდევ ერთი დიდი ზეიმი უსახსოვრა ლადო ათანელმა ქართველ მსმენელს. სოლო კონცერტი იყო გამორჩეული თავისი მაღალი კულტურით, დახვეწილი რეპერტუარით და ლადოს განუმეორებელი და უბადლო შესრულებით. ასევე კონცერტმაისტერის მარინა მეტრეველის აკომპანიმენტით, ყველა ნაწარმოებმა აღაფრთოვანა მსმენელი, მე განსაკუთრებით მომაჯადოვა დიმიტრი არაყიშვილის რომანსმა „ვარსკვლავიანსა ღამეს“, რომელიც დიდი ხანია, აღარავის უმღერია.

მზია მილაშვილი - **ტექნიკური უნივერსტიტეტის პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი** - მრავალფეროვანია ლადო ათანელის შემოქმედება, ის მოიცავს როგორც საოპერო არიებს, ასევე კამერული მუსიკის რეპერტუარს. სწორედ კამერული მუსიკის საღამო ჩატარდა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, შესრულებული იქნა იტალიელი, გერმანელი და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები, ლადო ათანელმა გამოავლინა არა მარტო ვოკალური ნიჭი, არამედ უმაღლესი საშემსრულებლო ტექნიკა. მე ბედნიერი ვარ, რომ ლადო დედოფლისწყაროელია და ვამაყობ ჩემი თანამემამულის წარმატებით.

კონცერტი დასრულდა, მაგრამ სახლში წასვლას არავინ ჩქარობდა, ყველამ სცენაზე გადაინაცვლა და მთელი დარბაზი ულოცავდა უდიდესი მაესტროს ამ საიუბილეო კონცერტის გამართვას. არაერთი ცნობილი საოპერო მომღერლის სოლო კონცერტს დავსწრებივარ, მაგრამ თქვენი და ანიტა რაჭველიშვილის, რომელმაც რამოდენიმე წლის წინ თავისი პედაგოგის მანანა ეგაძის ხსოვნას მიუძღვნა, სპეციალურად შერჩეული რეპერტუარით გაჯერებული, ასეთი კონცერტი არ მინახავს, ვუთხარი პირადადბატონ ლადოს მილოცვის დროს. თავად ლადომ დიდი კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი – მწიგნობართა ასოციაციის მიერ გამართულ პროექტებზე და დასძინა, რომ თვალს ვადევნებ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს და ძალიან მიხარია, რომ ყველა ღონისძიებაზე იწვევთ კონსერვატორიის წარჩინებულ სტუდენტებს, ოპერის სტაჟიორებს და ამით პოპულარიზაციას უწევთ დედოფლისწყაროს საზღვრისპირა რაიონში საოპერო, საფორტეპიანო და კლასიკურ მუსიკას. ახლაც საქმის კურსში ვიყავი, რომ 29 ნოემბერს ხელოვნების სკოლაში ცნობილი ახალგაზრდა ტენორი, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატი, ლასკალას სოლისტი არმაზ დარაშვილი და კონცერტმაისტერი და კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე უნდა მიგეწვიათ.. მაგრამ საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის გამო, გადაიდო ეს საიუბილეო კონცერტი, რომელიც მწიგნობართა ასოციაციის ათი წლისთავს ეძღვნებოდა. არ შეიძლება არ აღვნიშნო გიორგი წამალაშვილის და ჩემი ვაჟიშვილის ილია ათანელიშვილის აღფრთოვანება, დედოფლისწყაროში ჩატარებული „წარმატებული ოჯახების“ დაჯილდოვებისადმი მიძღვნილი კონცერტის თაობაზე. დედოფლისწყაროს შესანიშნავი მსმენელი ჰყავს. სასურველია, ასეთ ღონისძიებებს ხელი შეეწყოს და ხშირად გაიმართოს.

კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს.

ნანა ქიქინაძე

# ინგლისური ენის პოპულარიზაციისთვის

„ხორნაბუჯი-თამარის ციხე“ საინიციატივო ჯგუფის მიერ სოფ. ხორნაბუჯის საბავშვო ბაღში ჩატარდა უცხო ენის გაკვეთილი (ინგლისური ენის მასწავლებელი - თამარ ჯავაშვილი)

უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები გაფართოვებული თვალებით ელოდნენ მასწავლებლის გამოჩენას. ქალბატონი თამარი ინგლისურად მიესალმა პატარებს, დამსწრე საზოგადოებას და ჩვეული ენერგიით დაიწყო ღია გაკვეთილი. ლექსებს სიმღერები ცვლიდა, სიმღერებს ფერადი ფანქრების ფერების ამოცნობა და ასე, საყვარელ მასწავლებელსა და ორგანიზებულ პატარებს შორის ჰარმონიულად დამყარდა გასაოცარი კავშირი. ყველას უნდოდა გაკვეთილზე მონაწილეობის მიღება, თითქოს ცდილობდნენ წარმოეჩინათ მასწავლებლის თავდაუზოგავი შრომა. დაუჯერებელია, ამდენი რამის ერთ თვეში სწავლება. ეს მხოლოდ სტაბილურ და სიყვარულით სავსე გარემოშია შესაძლებელი.

გაკვეთილის ბოლოს ქალბატონმა თამარმა მადლობა გადაუხადა პატარებს აქტიურობისათვის და მათ შორის გამორჩეული სამი პატარა სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

დეკემბრის მიუხედავად, გარეთ უჩვეულოდ თბილოდა, შიგნით კი ვტოვებდით უფრო თბილ გარემოს იქ მყოფი პედაგოგებისა და თვალანთებული ბავშვების სახით.

თამარ ლოგჯანიძე,
**ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომელი და სათემო ორგანიზაციის წევრი.**

# გასვლითი გაკვეთილი სამხატვრო სკოლაში

12 დეკემბერს, წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მე-3 კლასის მოსწავლეებს, ხელოვნების მასწავლებლების - ქეთევან საბიაშვილისა და გია ყაჭაშვილის ინიციატივით, ჩაუტარდათ გასვლითი გაკვეთილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილებაში. ბავშვებმა დაათვალიერეს სკოლის ინტერიერი, სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული ნამუშევრები და მათი სამუშაო იარაღები: მოლბერტი, პალიტრა, საძერწი დაზგა. პედაგოგებმა პატარებს საშუალება მისცეს, მათთვის სასურველი მასალით, შეესრულებინათ ნატურმორტი, გაკვეთილის დასასრულს კი იქვე მოაწყეს პატარების მიერ შესრულებული ნამუშევრების სახელდახელო გამოფენა.








## 1951 WLIS DEKEMBERI

○ RAIONSI PIRVELI SAMSARTULIANI SENOBA 1951 WELS AIGO. GACNDA PIRVELI TBOSADGURI, ROMELIC PIRVEL SENOBEBS GAATBOBS ORTQLIT. ASEVE DASRULDA FEXBURTIS STADIONIS MSENEBLOBA. WITELWYAROSI AM WELS GAIYVANES WYALSADENIC.

○ ZEMO MACXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS MECXVAREOBIS FERMIS ERT-ERT FARAS, ROMELIC IORZE DGAS, MGELI SEMOECVIA DA TITQMIS YOVEL RAME ITACEBDA CXVARS. MWYEMSMA CITO JANASVILMA MAMACURAD DAUDARAJA MXECS. MGELI SUARAMISAS MOULODNELAD SEVARDA FARASI DA RAMDENIME CXVARI DAGLIJA. MGELI MWYEMSS PIRDAPIR SEEJAXA. MWYEMSI AR DAIBNA, YUREBSI STACA XELI, GAMWAREBULMA MXECMA KI BARZAYSI UKBINA. ORTABRZOLASI MWYEMSMA MGELI MORALA DA XELIT DAAXRCO. AMRIGAD GADAARCINA FARA MAMACMA MWYEMSMA.

○ WITELWYARO-WNORISA DA WITELWYARO SIRAQIS GZEBIS MOUWESRIGEBLOBA AUTANELI XDEBA. ASEVE AUCILEBELIA SIRAQIS GZAZE XIDIS SEKETEBA. AMIS SESAXEB REDAQCIASI MOSULI WERILI ITYOBINEBODA. IS REAGIREBISTVIS RAIONIS SAGZAO GANYOFILEBAS GADAEGZAVNA. GANYOFILEBIDAN GVACNOBES, ROM MIREBULIA ZOMEBI MDGOMAREOBIS GAMOSASWOREBLAD. ORIVE MIMARTULEBIS GZEBZE GASLILIA XRESI DA DATKEPNILIA GREIDERIT. XOLO XIDIS GAFARTOEBA MALE DAMTAVRDEBA.

○ WITELWYAROS CENTRSI, STALINIS 33-SI, ERT SEUFEREBEL BINASI MOTAVSEBULIA INVALIDTA ARTEL `MEBRZOLIS~ FEXSACMELEBIS SEMKETEBELI SAXELOSNO, SADAC MUSAOBS 5 XELOSANI. IS SISTEMATIURAD VER ASRULEBS SAWARMOO GEGMAS. NOEMBRISA DA DEKEMBRIS 15-MDE DASVEBULI GEGMA 70%-IT SEASRULA. ES GAMOWVEULIA IMIT, ROM ARTELIS GAMGEOBA SAXELOSNOS NAKLEBAD AMARAGEBS SAWIRO NEDLEULIT. WELS SAXELOSNOM MCIRE ODENOBIT MIIRO TYAVIS MASALA. XELOSNEBISTVIS AR ARIS SEQMNILI KULTURULI PIROBEBI. ZALZE CAMORCEBA MASIUR ARMZRDELOBITI MUSAOBA. XELOSANTA SORIS AR ARIS GASLILI SOCIALISTURI SEJIBREBA. AR GAMODIS KEDLIS GAZETI. ARAVIN AWARMOEBS AGITACIUR MUSAOBAS, GAZETIS XMAMARLA KITXVAS DA A.S. BINIS UVARGISOBIS GARDA, SAXELOSNOS MINEBI CAMTVREULIA, AR ARIS GAMOKRULI ABRA, GAMEFEBULIA ANTISANITARIA. AR AQVT ARC RUMELI DA SESA.

○ ZOGIERTI WARMOEBA-DAWESEBULEBIS XELMZRVANELEBI TAVIS DROZE AR IXDIAN TELEFONIS QIRAS, RIS GAMOC ISINI RCEBIAN DEBITORUL DAVALIANEBASI. SAGRZNOBLAD DIDI TANXEBIS DAVALIANEBA AQVT ARXILOSKALOS KOLMEURNEOBAS, QEDIS MTS-S, ZEMO QEDIS SASOFLO SABWOS ARMASKOMSA DA SKOLAS, ASEVE JAFARIZIS SASOFLO SABWOS ARMASKOMS. SAWIROA TAVIS DROZE ARMOFXVRAN DAVALIANEBA.

○ DABA WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS PIONEREBI AQTIURAD EMZADEBIAN XALXTA SAYVARELI BELADISA DA MASWAVLEBLIS I.B. STALINIS DABADEBIDAN 72 WLISTAVISADMI MIZRVNILI RAZMEULIS SEKREBISTVIS. 21 DEKEMBERS DARBAZI GAIVSO. SIXARULIT ARGZNEBULI MARALI MXATVRULI INTONACIEBIT KITXULOBDNEN LEQSEBS DA ASRULEBDNEN MONTAJS STALINIS MIER DAARSEBULI TBILISIS ARALEGALURI STAMBIS SESAXEB. BELADISADMI URRMESI SIYVARULIS GRZNOBAS GAMOXATAVDNEN PIONEREBI.

○ KOMKAVSIRI MASWAVLEBLEBS GVAVALDEBULEBS -PIONERTA KOMUNISTURAD ARZRDAS. VER SEVZELIT 16 PIONERIDAN YVELA ASWREBDES DA AR GVYAVDES ORI OROSANI MOSWAVLE. AMITOM CVENI RAZMIS YVELA PIONERI GANMSWVALULIA ERTI MIZNIT, ROM YVELA PIONERMA MARALI AKADEMIURI MOSWREBA ACVENOS,~ - WERS WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS # 1 RAZMIS XELMZRVANELI L. TIRACOVI.

## 1959 WLIS DEKEMBERI

○ 1921 WLAMDE WITELWYAROS TERITORIAZE MXOLOD ORI DAWYEBITI SKOLA IYO, SADAC 100-MDE BAVSVI SWAVLOBDA. AXLA, 1959 WLISTVIS AQ 5 822 MOSWAVLIS ARZRDAS EMSAXUREBA 22 ZOGADSAGANMANATLEBLO SKOLA, 4 MUSA DA SOFLIS AXALGAZRDOBIS SASUALO ERTIC SVIDWLIANI SKOLEBI. ASEVE 500-MDE MASWAVLEBELI. WINAT TU RAIONSI ZNELAD MOIZEBNEBODA UMARLESI GANATLEBIS MQONE ADAMIANI, AXLA 9 367 UMARLESI DA SASUALO GANATLEBIS MQONE SPECIALISTI GVYAVS.

○ CVENS MARALIDEUR SAZOGADOEBASI KIDEV GVYAVS WARSULIS MAVNE GADMONASTEBI, ROMLEBIC PATIOSAN SROMAS GAURBIAN. ASET IOL CXOVREBAS DAADGNEN SOTA CACASVILI, ABRAM BUBIKASVILI DA DAVIT SIMSILASVILI, ROMLEBIC Q. ONIDAN CAMOVIDNEN WITELWYAROSI `GASTROLEBZE~. TARLITEBS NASOVNI HQONDAT SESXEBIS MOGEBIS CXRILI, ROMLITAC MOQALAQEEBTAN MIDIODNEN, VITOM TBILISIDAN MOVLINEBULI PIREBI IYVNEN DA OBLIGACIEBS SINJAVDEN. RIREBULEBIS NAXEVARS UXDIDNEN DA MIHQONDAT. MAS WARADGENDNEN SEMNAXVEL SALAROSI DA MIHQONDAT SRULI RIREBULEBA. ASE MOATYUES MOQALAQE MARIAM VALUISKI, RAISA NATROSVILI, QSENIA LAPIASVILI. IM DROS ROCA ANDREI MUJICENKOS OBLIGACIEBS BINAZE SINJAVDNEN, TARLITEBS MILICIAM WAASWRO. MILICIAS DAXMAREBA GAUWIES QITESA LAPIASVILMA DA TASO BEGIASVILMA. SAXALXO SASAMARTLOM MAT 2-2 WLIT PATIMROBA MIUSAJA.

○ WITELWYAROS SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM MWYEMSTA UKET MOMSAXUREBIS MIZNIT FERMEBTAN MOAWYO UGAMYIDVELO FARDULEBI, SADAC PIRVELI MOXMAREBIS ISETI SAQONELI IQNEBA, ROGORICAA SAPONI, ASANTI, PAPIROSI, RVEULEBI, FANQREBI DA SXVA. PIRVELI FARDULI UKVE GAIXSNA - SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBIS MEKAMECEOBIS DA MEROREOBIS FERMEBTAN, ROMELIC SOFLIDAN 20 KILOMETRZEA DASOREBULI.

○ ZEMO QEDSI MCXOVREBI AXALGAZRDEBI FIRUZ BEQAURI DA NASYIDA WIKLAURI GAURBODNEN SAZOGADOEBRIV SASARGEBLO SROMAS. GANIZRAXES IOLI GZIT ESOVAT SEMOSAVALI. GULDASMIT DAZVERES AMAVE SOFLIS KOLMEURNEOBIS SAWYOBI, SADAC MZESUMZIRA IYO MOTAVSEBULI. RAMIS 2 SAATZE SEIPARNEN DA 9 TOMARA (383 KG) MZESUMZIRA ZURGIT GADAACOCES IQVE GVERDIT MDEBARE XEXILIS BARSI. ES AMBAVI AR GAMOPARVIA DARAJS, MAGRAM QURDEBMA MIMALVA MOAXERXES, NADAVLI KI IQVE DATOVES. SABOLOOD, DANASAULI MXILEBUL IQNA, SAXALXO SASAMARTLOM GAARCIA MATI SAQME DA TITOEULS 4 WLIT PATIMROBA MIUSAJA.

○ CVENI RAIONIS DASAXLEBULI ADGILEBI SAMI ATEULI WLIS WIN ZALZE CAMORCENILI MXARE IYO. MOSAXLEOBA NAXEVRAD GOMUR BINEBSI CXOVROBDA. MOKLEBULNI IYVNEN SAMEDICINO MOMSAXUREBAS, AR IYO SKOLEBI, SAKLUBO DAWESEBULEBANI. AXLA RAIONIS CENTRMA DA SOFLEBMA SAXE ICVALES. ARAR DARCA ISETI SOFELI, SADAC AR IYOS SKOLA, AFTIAQI, RADIO, JANMRTELOBIS KERA DA ELEQTROSINATLE. WYALMOWYUREBUL SOFLEBSI AXLA MOCUXCUXEBS ANKARA WYLEBI. GAFARTOVDA SASOFLO-SAUBNO GZEBI. MXOLOD 1958 WELS RAIONSI 300-ZE METI INDIVIDUALURI BINA ASENDA. RAIONSI GAMOYVANILIA RKINIGZIS XAZI, SOFLEBI DASERILIA AVTOBUSEBIT. UMAGALITOD GAFARTOVDA JANDACVIS, KULTURUL SAGANMANATLEBLO DA SAVAWRO QSELI. AMASWINAT, RAIONIS MOSAXLEOBAM SACUQRAD MIIRO KIDEV ERTI KULTURULI NAGEBOBA - KINOTEATRI. YOVELIVE ES KI SABWOTA XELISUFLEBIS MONAPOVARIA.



○ SAWIROA DAINISNOS AVTOBUSI `WITELWYARO-ELDARI~. ELDARIS MECXVAREOBIS SABWOTA MEURNEOBASI ATASAMDE MSROMELI CXOVROBS. MEURNEOBA RAIONULI CENTRIDAN 45 KILOMETRITAA DASOREBULI, SEUZLEBELI XDEBA WITELWYAROSI MIMOSVLA AVTOBUSIS UQONLOBIS GAMO. ELDRELI MUSAMOSAMSAXUREEBI RAXANIA SAMARTLIANAD MOITXOVEN, ROM WITLWYAROS AVTOSATRANSPORTO KANTORAM ERTI AVTOBUSI GAMOYOS. KANTORIS UFROSI A BROZELI REDAQCIAS SWERS, ROM MOTXOVNA AXALI AVTOBUSIS MIREBISTANAVE DAKMAYOFILDEBA.

○ `WITELWYAROS CRDILO DASAVLETIT MDEBAREOBS KIRQVIS MTA `DVABRATA~. UCNOBIA, RATOM HQVIA MAS ES SAXELI, ERTI KI CXADIA, DAKAVSIREBULIA WITELWYAROS TERITORIAZE RUSEBIS DASAXLEBASTAN. NAMARXEBIS ARMOCENEBMA ACVENES, ROM MTA TAVISI WARSULIT SAINTERESOA. AQ AFETQEBEBISAS KIRIS QARXNIS MUSEBI POULOBEN ADAMIANIS SAMARXEBS, TIXIS WURWELS, LITONIS SAMKAULEBS DA SROMIS IARARIS NAMTVREVEBS. QARXNIS MUSAKI GOMELAURI GVIAMBOBS, ROM KIRQVIS TXRIS DROS WAAWYDNEN ORMOS, ROMELSIC SAKMAOD GRZELI TOKI CAUSVES DA ZALIAN RRMA CANDA. VARAUDOBEN, ROM SEIZLEBA ES GVIRABI IYOS. MTIS CRDILOETIT XSIRAD CNDEBA QVEVREBI. ERTERTI QVEVRIS ZIRZE NAPOVNIA NIJAREBI DA ZVLIS SALAMURI, QVIS XELSAFQVAVEBI, MZIVEBI. UAMRAVI SAMARXI ISEV GAUXSNELIA. VIN ICIS, RA ISTORIAS INAXAVS MTA `DVABRATA~, AUCILEBELIA MISI SAFUZVLIANAD GAMOKVLEVA,~ - WERS ISTORIIS MASWAVLEBELI IOSEB MENTESASVILI.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# ყურადღება: ვაკანსია

დედოფლისწყაროს შემოსასვლელში, მეგობრობის ქ. №8-ში მდებარე ავტოსერვისში არსებულ კაფე-ბარში გვესაჭიროება მომსახურე პერსონალი. გამოგვეხმაურონ ქალბატონები ტელეფონის ნომერზე: 598-77-20-20

# ამოხსენი სუდოკუ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 6 | 5 | 4 | 9 | 3 | 1 |
| | | | 7 | | 1 | | 8 | 2 |
| | | 5 | | | 2 | 6 | | 4 |
| | | | 5 | | 8 | 1 | 6 | 9 |
| | 1 | | 9 | 4 | | 2 | 5 | 3 |
| | | | | | | | 4 | |
| | 5 | 1 | | | 7 | 3 | 2 | |
| 4 | 8 | 3 | 2 | | | 7 | | |
| 2 | | | 8 | 3 | | 4 | 1 | |

თქვენს წინაშეა სუდოკუს სტანდარტული დაფა. ის არის კვადრატის ფორმის და შედგება 3**x**3-ზე ბადით. სწორედ უნდა შეავსოთ ცხრილი რიცხვებით 1-9 მდე. თამაშის მიზანია დაფა შეივსოს ისე, რომ ერთ რიგზე შვეულად და თარაზულად არ განმეორდეს ერთიდაიგივე რიცხვი.

**გამოსათხოვარი**

# გოდერძი ტოკლიკიშვილი



14 დეკემბერს ოჯახმა, ახლობლებმა, მეგობრებმა და ყოფილმა თანამშრომლებმა საბოლოო გზაზე გააცილეს გოდერძი ერასტის ძე ტოკლიკიშვილი, კაცი, რომლის ხსენებაც ადამიანებში, ვინც მას იცნობდა, წესიერების, განათლებულობის და პატიოსნების ასოციაციას იძლევა. დედოფლისწყაროს საზოგადოებას დააკლდა რაფინირებული ინტელიგენტი, რომელმაც ცხოვრების დიდი და რთული გზა გაიარა. გოდერძი ტოკლიკიშვილმა ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. წითელწყაროს საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი კი – წითელ დიპლომზე. დაბრუნდა რაიონში და მრავალ პოზიციაზე მუშაობდა: ის იყო ისტორიის პედაგოგი, კომპარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, 1966 წლიდან გაზეთ „ახალი შირაქის" (შემდგომში „შირაქის") რედაქტორად დაინიშნა და, თითქმის 25 წელი უძღვებოდა ამ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს. თავდაუზოგავად შრომობდა, ეძებდა სიახლეებს, უკომპრომისოდ ებრძოდა ნაკლოვანებებს. საზოგადოებაში ის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, მაგრამ 1989-90 წლებში განხორციელებული ქაოსური ცვლილებების დროს არავინ გაითვალისწინა მისი დამსახურება და ის სამსახურიდან გაანთავისუფლეს. რედაქციის კოლექტივის მხარდაჭერამ და მცდელობამ, შეენარჩუნებინათ რედაქტორი, შედეგი არ გამოიღო. უსამართლოდ დაჩაგრული და გულნატკენი ბატონი გოდერძის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო – ბრძოლა გადარჩენისთვის. და ამ ცხოვრებისეულ სირთულეებთან ბრძოლაში გაილია ორ ათეულზე მეტი. 85 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან გოდერძი ტიკლიკიშვილი, დატოვა ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი, და მართალი ადამიანის სახელი. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში, რადგან მის მიერ ჩაყრილ საძირკველზე დგას დღესაც გაზეთ „შირაქის" რედაქცია, რომელიც 80 წელია, უწყვეტად ემსახურება რაიონის მოსახლეობას და არ თმობს იმ სამართლიან პოზიციებს, რომელსაც, თავის დროზე, მან ჩაუყარა საფუძველი.

ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა, ბატონო გოდერძი, განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

**პატივისცემით,** გაზეთ „შირაქის" რედაქციის და სტამბის ძველი და ახალი თაობის თანამშრომლები.

შვილები: მარინა, ემზარი; სიძე თამაზი, რძალი ლაურა; შვილიშვილები: გიორგი, საბა, ქეთი, ოლიკო, თორნიკე, მარიამი; დისშვილები: ზურა, ეთერი, ცოლისდები: ლია, ნანა ოჯახებით იუწყებიან

გოდერძი ერასტის ძე ტოკლიკიშვილის

გარდაცვალებას.დაიკრძალა 14 დეკემბერს, ქ. დედოფლისწყაროში.

ქ. დედოფლისწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1951 წლის კურსდამთავრებულები: გულიკო პოპიაშვილი, ვალიკო გოგილაშვილი, ჯიმი ალუღიშვილი, იზოლდი ბენაშვილი და კლასის ხელმძღვანელი მანო ისაიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გოდერძი ერასტის ძე ტოკლიკიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ზაირა ალუღიშვილი და იზოლდი პოპიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ სეილან ლაპიაშვილს ძმისცოლის

ციალა ხატიაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ფოტოამბავი



**ამ ფოტოებით ჩვენი ქალაქის ცენტრალური ქუჩებზე მოგითხრობთ. ეს სკამები ფიროსმანის სკვერის, მერიის მიმდებარე და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდებარე სკვერებშია განლაგებული, სადაც სულ ორიოდე წლის წინ დამონტაჟდა. ფოტოებიდან ნათლად ჩანს, რა სავალალო მდგომარეობაშია ისინი დღეს.**

ვინმემ რომ გვკითხოს, გვიყვარს თუ არა ჩვენი ქალაქი, თავს ძალიან შეურაცხყოფილად ვიგრძნობთ, მაგრამ, გვიფიქრია კი, ყოველდღიურ სინამდვილეში რას ვაკეთებთ მისთვის, როგორ ვუფრთხილდებით და რა გულგრილები ვართ, როდესაც ვხედავთ, როგორ აზიანებენ ჩვენი თანამოქალაქეები სკვერებს თუ ნებისმიერ სხვა ადგილს და არანაირ წინააღმდეგობას არ ვუწევთ მათ, ამით კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს ჩვენს მოქალაქეობრივ უპასუხიმგებლობას.

დიახ, თითქოს ყველას ძალიან გვიყვარს ჩვენი ქალაქი, მაგრამ ამავე დროს ეს ძალისმიერი მეთოდებით დანგრეულ-ჩატეხილი სკამები საპირისპიროს მეტყველებენ, გვიყვარს, მაგრამ ასე ვანაგვიანებთ, გვიყვარს, მაგრამ ღამის საათებში გამოვდივართ და სკვერებში განათების სისტემას, სკამებს და რაზეც ხელი მიგვიწვდება, ყველაფერს ვამტვრევთ, გვიყვარს, მაგრამ მისთვის სიახლის შემატების მაგიერ, უდიერად ვეპყრობით არსებულს! მერე რა, ხვალ კიდევ ახალს გაგვიკეთებენ ან რეაბილიტაციას ჩაუტარებენ.



ნუთუ ამ სკამებს 2-3 წლის მაგიერ 10 წელი რომ შეესრულებინა თავისი ფუნქცია და დაზოგილი თანხები მის მაგიერ ისევ სოციალურ პაკეტს მოხმარებოდა, უკეთესი არ იქნებოდა?!

სანამ ჩვენი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონე აიწევს, მანამდე მერიის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსს **დავით ფხოველიშვილს** მივმართეთ. – ბატონო დავით, იგეგმება თუ არა **ზემოთჩამოთვლილი სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში და რა უნდა გაკეთდეს, რომ შემდეგ ისევ იგივე პრობლემის წინაშე არ აღმოვჩნდეთ?**

– სამწუხაროდ ამ ინვენტარის შეკეთება 2017 წლის ბიუჯეტში ვერანაირად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, წარმოუდგენელია, წინასწარ გათვალო, ასე მალე მოსპობა და განადგურება შენი საკუთარი რაიონის ღირსშესანიშნაობებისა. ფაქტიურად, ხელახლა არის ეს ყველაფერი გასაკეთებელი, მაგრამ განახლების შემთხვევაში, ვინ იქნება გარანტორი, რომ იგივე არ განმეორდება, ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. ეს ჩვენი, თითოეული მოქალაქის ვალია და არა მარტო მოვლა-პატრონობის სამსახურის(დასუფთავების), აგრეთვე, აქტიურად უნდა იყოს ჩართული საპატრულო პოლიცია ნებისმიერი მსგავსი ფაქტის აღსაკვეთად. მაგრამ, მაინც, სანამ ჩვენი კეთილი ნება არ იქნება, სანამ ჩვენი თვითშეგნება არ მივა იმ დონემდე, რომ უნდა საკუთარი სახლ-კარივით გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს, მის ნებისმიერ კუთხე-კუნჭულს, სანამ ჩვენი საკუთრების შეგრძნება ჩვენი ჭიშკრის იქით არ დასრულდება, მანამდე ყოველთვის ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

**მოამზადა** ელზა ხარაშვილმა



# ვინ არის დამნაშავე?

***ავადმყოფი რომ განიკურნოს, ექიმმა მას სწორი დიაგნოზი უნდა დაუსვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება და, შესაძლოა, ლეტალური შედეგითაც დასრულდეს.***

ჩვენს საზოგადოებაში დღეს არსებული ვითარებაც ამას ჰგავს. როდესაც ძალადობის თემაზე ვსაუბრობთ და განვიხილავთ მოზარდებში მომძლავრებულ აგრესიას, ვცდილობთ, პრობლემის სათავე სხვადასხვა ადგილას ვეძებოთ: სკოლა ოჯახისკენ იშვერს თითს, მშობელი-სკოლისკენ, ამ დროს ყველას გვავიწყდება, რომ პრობლემა ოჯახშიცაა, სკოლაშიც და იმ სოციუმშიც, სადაც ბავშვს ყოველდღიურად უხდება ურთიერთობა. აგრესიასა და ძალადობაზე საუბრისას, ყველანი ვცდილობთ, პასუხისმგებლობა ავიცილოთ და სიმართლეს თვალებში არ ჩავხედოთ! ვცდილობთ, თავიდან ავიცილოთ დიაგნოზი, რომელიც მძიმეა და არასასურველი, თუმცა მისთვის თვალის გასწორების შემთხვევაში პრობლემის დაძლევა გაცილებით იოლი გახდება.

სანამ ჩვენ დამნაშავის პოვნითა და ურთიერთბრალდებების წაყენებით ვართ დაკავებულნი, ერთ ტრაგედიას მეორე ემატება, ზოგი ფიზიკურად კვდება, ზოგი-მორალურად. ძალადობას ხომ მრავალგვარი სახე აქვს...

დღეს ბევრს ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დავამარცხოთ აგრესია მოზარდებში, მაგრამ არ ვლაპარაკობთ, როგორ ვმართოთ აგრესია, რომელიც საზოგადოებაშია გამეფებული და ეს ყველაფერი ბავშვებზე აისახება? გვავიწყდება, რომ მაგალითს ყველაზე დიდი ძალა აქვს და რა დიდაქტიკურ მეთოდსაც არ უნდა მივმართოთ, ის რეალური მაგალითის გარეშე არ იმუშავებს. მაშინ იქნებ იმაზეც დავფიქრებულიყავით, პირველ რიგში, როგორ მოვერიოთ სიძულვილსა და აგრესიას ჩვენში, საზოგადოებაში? იქნებ კითხვა ჩვენ, ზრდასრულმა ადამიანებმაც დავუსვათ საკუთარ თავს, რა გავაკეთეთ ან რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ საკუთარ თავში ვებრძოლოთ იმ მანკიერებებს, რომელიც თითოეულ ჩვენგანშია, როგორ ვისწავლოთ აგრესიის მართვა და სიძულვილის სიყვარულით დაძლევა. ჩვენ ხომ მართლმადიდებელი ერი ვართ და კარგად ვიცით, რომ აგრესიისა და სიძულვილის საპირწონედ მხოლოდ სიყვარული გამოდგება. როდესაც ბავშვის აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამო მხოლოდ სკოლას და ოჯახს ვთხოვთ პასუხს, გვავიწყდება, რომ სკოლა და ოჯახი დამოუკიდებლად არ



არსებობს, ეს ინსტიტუტები იმ სოციუმის ნაწილია, რომელშიც ჩვენ, ყველას, გვიხდება თანაარსებობა, ამიტომ, რაც ხდება საზოგადოებაში, იგივე ხდება იქაც. თითოეული ჩვენგანი ვართ ძალადობის სივრცის ბინადარი, გარემოებების მსხვერპლი.

ეკონომიკურმა პრობლემებმა და ქვეყანაში შექმნილმა ქაოსურმა სიტუაციამ ბევრი თავის ტკივილი გააჩინა ქვეყანაში. 90-იან წლებში სოკოებივით მომრავლებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა მოზარდები ქუჩას კი აარიდა, მაგრამ პროფესიონალებად ვერ ჩამოაყალიბა. ამიტომ, დღეს როდესაც ვსაუბრობთ ერთ-ერთ პრობლემაზე, რომელსაც არაპროფესიონალიზმი ჰქვია სახელად და რომელსაც ყველა სფეროში აქვს ადგილი, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ეს სკოლასაც ეხება. როდესაც დარგის სპეციალისტები, პედაგოგები, თავად საუბრობენ განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე და დანაშაულს სისტემაში ეძებენ, განა არაპროფესიონალიზმზე აქცენტს თავად არ აკეთებენ?! სხვის მიერ გამოთქმულ იგივე აზრზე კი პროტესტს გამოთქვამენ და მასწავლებლების დისკრიმინაციაში სდებენ ბრალს! განა პედაგოგები თავად არ საუბრობთ, რომ განათლების სისტემის როგორც ზედა, ისე ქვედა რგოლში არიან დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტები ღირსეულ პედაგოგებთან ერთად?

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“- ნათქვამია, ჩვენ კი ურმის გადაბრუნების შემდეგაც იმ გზას ვეძებთ, რომელიც ამ პრობლემას დაგვაძლევინებს. ვეძებთ, ოღონდ ამჯერადაც აგრესიით გამოვირჩევით და „კარგ მთქმელს“ კი არ ვუსმენთ, არამედ მას, ვინც მხოლოდ მაქებარ სიტყვებს არ იშურებს ჩვენთვის და წამალს კი არ გვთავაზობს, რომელიც მწარეა სიმართლესავით, არამედ დროებით საშუალებას, რომელიც მოდუნებაში გვეხმარება...

დღეს ყველამ რაღაც უნდა ვისწავლოთ, პირველ რიგში კი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, ჩვენი „მახინჯი ორეულის“ დამარცხება, სხვაგვარად ვერ ვიპოვით გზას, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს... სხვაგვარად ვერ გავათავისუფლებთ ჩვენს სივრცეს აგრესიისგან და ვერც მომავალ თაობას მივცემთ მაგალითს, როგორია ღირსეული ადამიანი.

ინგა შიოლაშვილი

## ულოცავენ!

**ტატიანა ბულულაშვილს, რეზო პოპიაშვილს!**

გილოცავთ შვილების - გიორგი პოპიაშვილის და მარიამ ყოჩიაშვილის ქორწინებას. ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიყვარულს, სიხარულს და გამრავლებას. აივსეთ შვილიშვილებით და გაიხარეთ. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**პატივისცემით,**
**დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის სახელით:** ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ხათუნა აგლაძე, მარინა ღვინიაშვილი, რეგინა ჯანიაშვილი, შორენა ღვინიაშვილი, ნაირა გორაშვილი, ინგა შიოლაშვილი, გია ნატროშვილი, გოდერძი გონაშვილი.

## იყიდება!

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი, სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, მეოთხე სართულზე.
მისამართი: ჰერეთის ქუჩა N 82, კორპუსი 14 . ამავე კორპუსში იყიდება ოროთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა მესამე სართულზე. ფასი შეთანხმებით.
მსურველები დაგვიკავშირდნენ:
☎599-25-17-18; 577-105-822

## მადლიერება

სოფელ სამრეკლოს სერაფიმე საროველის სახელობის ტაძრის მიმდებარე ქუჩის მცხოვრებნი ამ ქუჩის მოასფალტება-გალამაზებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონებს: კახეთის გუბერნატორს ირაკლი ქადაგიშვილს, დედოფლისწყაროს მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს გოჩა სამუკაშვილს, სამუშაოს შესრულების ხელმძღვანელებს: ვანო ლოლაშვილს, ვაჟა მეხრიშვილს, სოსო ბოსტოღანაშვილს, ბიძინა პოპიაშვილსა და ყველა იმათ, ვინც მიიღეს მონაწილეობა სამუშაოს შესრულებაში.

ვულოცავთ მათ დამდეგ 2018 წელს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ულევ სიხარულს.

**პატივისცემით,**
**ქუჩის მცხოვრებთა სახელით,** ეგული ყოჩიაშვილი.

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 18.12 | | სამშაბათი 19.12 | | ოთხშაბათი 20.12 | | ხუთშაბათი 21.12 | | პარასკევი 22.12 | | შაბათი 23.12 | | კვირა 24.12 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 6° | 5° | 10° | 7° | 8° | 4° | 2° | 1° | 0° | -1° | 0° | -2° | 6° | 5° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.